ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო

საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 22

25 ივნისი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ლევან არველაძე,რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს და გააცნო დღის წესრიგი.

1. **საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები:№ 11-0118142510 21.06.2018წ; №11-01181732966 22.06.2018წ და №11-01181726578 25.06.2018წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებსა და ქვეპროგრამები ასიგნებების გადანაწილების შესახებ.**

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია სხვადასხვა სამსახურებისა და გამგეობების მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებას/ქვეპროგრამებში ასიგნებების გადანაწილებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს გზების მშენებლობა-აღდგენის პროგრამაში 2000 000 ლარის მეორედან მეოთხე კვარტალში გადატანას. სამსახურის წერილობითი ინფორმაციით ინტენსიური წვიმების გამო ვერ ხერხდება ქალაქის მასშტაბით საგზაო სამუშაოების შესრულება და შეფერხდა ასფალტ-ბეტონის დაგების სამუშაოები. ქალაქის მასშტაბით გარე განათებასთან დაკავშირებით ახალი სანათი წერტილებისათვის, სამსახურს დამატებით ესაჭიროება 385000 ლარი მეორე კვარტალში.
იმის გამო რომ მუშავდება ახალი პანთეონის მოწყობა საერთო ინფრასტრუქტული კონცეფციის ფარგლებში, კულტურისა და განათლების სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, პროგრამაში „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ ამ ეტაპზე სამსახურს თანხა არ სჭირდება და 54212 ლარი მიმართული იქნება კულტურული ღონისძიებებისათვის. გარდა ამისა უკვე დაფინანსებულია პროექტი „ თანამედროვე ხელოვნების ფაბრიკა“ და სხვა პროექტები. აქედან

გამომდინარე „შემოქმედებითი თბილისის“ პროგრამიდან 120 000 ლარი მიმართული იქნება კულტურის ღონისძიებებისათვის. მეორე კვარტალში თავისუფალი თანხებია „ქალაქის საინვესტიციო პოტენციალი რეალიზაციისა“ და „ბიზნესის სტიმულირების პროგრამებშიც“. შესაბამისი სამსახურის განმარტებით მთელმა რიგმა ღონისძიებებმა გადაიწია მომდევნო კვარტლებში. ცვლილებების დაბალანსება ხდება შემოსავლების ნაწილში მიწის იჯარიდან მისაღები შემოსვლების მომდევნო კვარტლებშიი თანხების გადატანით.
გარდა ამისა გლდანის,ნაძალადევის, დიდუბის,ვაკის, საბურთალოს, სამგორის, კრწანისის და მთაწმინდის რაიონული გამგეობები ითხოვენ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებში“ თანხების მეორე კვარტლიდან მესამე-მეოთხე კვარტლებში გადატანას.
კომისიის წევრებს შეკითხვები ქონდათ აღნიშნულთან დაკავშირებით, რაზედაც გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გა,გეობების წერილობითი ინფორმაციით თავისუფალი თანხები პროგრამაში გამოწვეულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების წესში“ შეტანილი ცვლილებების გამო. გამგეობები აღნიშნავენ რომ წესში ცვლილებამ საწყის ეტაპზე გამოიწვია კონტრაქტორი ფირმების გამოვლენის გახანგრძლივება და სამუშაოების გვიან დაწყება.
მთაწმინდის რაიონის თხოვნით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური განახორციელებს აზეულას(ქოროღლის) ციხის განათების სამუშაოებს „თვილსერვის ჯგუფის“ კაპიტალის გაზრდის გზით.
გამომდინარე აქედან „ მთაწმინდის რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამიდან 147000 ლარის გადატანა ხდება „გარე განათების ქელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის“ პროგრამაში.

კომისიის წევრებმა თნხმობა მისცეს წარმოდგენილ გადანაწილებებს.
მომხრე-5.ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი საქალაქო სამსახური და რაიონის გამგეობები ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებებს, რომელთა გადანაწილებები ხორციელდება შესაბამისიპროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული რესურსების ხარჯზე, ასევე შემოსულობების გადანაწილებით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართის შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა